



საჯარო საპატიოთს იურიდიული პირი-
**განათლების ხარისხის განვითარების
 ეროვნული ცენტრი**

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW-
**NATIONAL CENTER FOR
 EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT**



MES 1 16 01284956

26/10/2016

**შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიას
 (მის: ქ. თბილისი, ქსანის ქუჩა, №35)**

გიგზავნით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების
 ასლს.
 ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი შეგიძლიათ
 იხილოთ ჩვენს ვებგვერდზე www.eqe.gov.ge

დანართი: 1 (ერთი) გვერდი

პატივისცემით,

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
 ცენტრი
 დირექტორი
 თამარ სანიკიძე

შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების
 "განათლების აკადემია"
 LTD HIGHER EDUCATION INSTITUTION
 "ACADEMY OF EDUCATION"
 შიგნითი № 113
 თარიღი "31" X 2016



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 108

2016 წ. "19" "08"

ქ. თბილისი

შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 19 აგვისტოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს უმაღლეს სასწავლებელ განათლების აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 19 აგვისტოს №12 სხდომის ოქმის მერვე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6..

თავმჯდომარე ნათელა სახოკია 5-106

მდივანი ელიზბარ ელიზბარაშვილი

